

მოკლე აღწერა: სტუდენტი ანა ამაოდ ცდილობს თავისი საშინაო დავალების WORD - ის პროგრამით დაბეჭდვას, რადგან კომპიუტერში ნაკლებად ერკვევა. მისმა თანამცხოვრებმა - ტომასმა კი არ იცის როგორ დარეგისტრირდეს უნივერსიტეტის სერვერზე. ორივეს დახმარებას კი უნივერსიტეტ აუგსბურგის კომპიუტერების ცენტრი აღმოუჩენს. ცენტრალური ბიურო სახელწოდებით „ზებრა“ ყველა საჭირო კითხვაზე გიპასუხებთ, რაც კომპიუტერსა და უნივერსიტეტში ინტერნეტ ქსელის ფუნქციონირებას შეეხება.

ავტორი: ერთ-ერთ სამშაბათს ანასა და ტომის საერთო საცხოვრებელში.

ანა: ახლა გავგიჟდები!... ეს დებილური საშინაო დავალება და ეს ტექსტის ასაკრეფი პროგრამა... არა აქედან არაფერი გამოვა...

ტომასი: გადავირევი.. ვერაფრით ვერ გამომივიდა უნივერსიტეტის საიტზე დარეგისტრირება, რომ ჩემი კურსებისთვის ჩავეწერო.

ანა: აჰ! ეგ პრობლემა ჩემთვის უკვე ნაცნობია.. მეც გამიჭირდა თავიდან კურსებზე დარეგისტრირება..მე დრო არ მაქვს ჩემი საშინაო დავალების გამო, მაგრამ შენ მიდი „ზებრას“ მიაკითხე უნივერსიტეტში.

ტომასი: ზებრა? მე ვფიქრობდი ეგეთი რამე მართო ზოოპარკში თუ არის.

ანა: „ზებრა“ არის კომპიუტერების ცენტრის მთავარი ბიურო, სადაც კომპიუტერთან დაკავშირებით ყველანაირ რეკომენდაციას გაგიწევენ.

ტომასი: აჰ! მადლობა რჩევისთვის. ახლავე გავემუშრები უნივერსიტეტში.

ავტორი: ტომასი ჩამოდის ტრამვაიდან.გაჩერებიდანქ გამოუყვება „ზებრასკენ“ მიმავალ მიმართულების ისრებს, რომლების კომპიუტერის ცენტრის გზას აჩვენებენ. ცენტრი მდებარეობს შენობა „ლ 2“-ში და დგას აუდიტორიების ცენტრის შენობის მოპირდაპირე მხარეს, ირიბად.

ავტორი: ტომასი ჩამოდის ტრამვაიდან.გაჩერებიდან გამოუყვება „ზებრასკენ“ მიმავალ მიმართულების ისრებს, რომლების კომპიუტერის ცენტრის გზას აჩვენებენ. ცენტრი მდებარეობს შენობა „ლ 2“-ში და დგას აუდიტორიების ცენტრის შენობის მოპირდაპირე მხარეს, ირიბად.

ტომასი: გამარჯობა. მე უნივერსიტეტში ახალი ვარ და შეგიძლიათ ამიხსნათ თქვენი ცენტრის კოდით როგორ ვისარგებლო?

ცენტრის თანამშრომელი: ამისთვის ვართ აქ. თან ხომ არ გაქვთ ის საბუთები ჩარიცხვის დღეს რომ მიიღეთ?

ტომასი: კი, ყველაფერი თან მაქვს.

ცენტრის თანამშრომელი: პირველ რიგში პირადი კოდი უნდა მოიპოვოთ. ამისათვის შეხვალთ „QIS“ პორტალზე, სადაც უნივერსიტეტ აუგსბურგის ოფიციალური ვებ-გვერდიდან მოხვდებით. შემდეგ ჩარიცხვის ნომერი და „I-Tan - ჩამონათვალი“ დაგჭირდებათ, რომელიც ასევე ჩარიცხვისას გადმოგეცათ. დაწვრილებით ინფორმაციას ჩვენს ინტერნეტ საიტზე გაეცნობით.

ტომასი: დიდი მადლობა. ამას უკვე სახლში გავაკეთებ.

ცენტრის თანამშრომელი: დარწმუნებული ხარ?. ჩანთაში ხომ გიდევეს ლეპტოპი. თუ სურვილი გაქვს აქვე შემიძლია დაგარეგისტრირო.

ტომასი: სიამოვნებით... მაგრამ აქ რომ ინტერნეტი არ მაქვს?

ცენტრის თანამშრომელი: რა თქმა უნდა! აქ უნივერსიტეტის ტერიტორიაზე, ინტერნეტ ქსელის გამოყენების რამოდენიმე საშუალებაა. მაგ: თუ საკუთარი ლეპტოპი გაქვს, შეგიძლია უკაბელო ინტერნეტით სახელწოდებით „MunA-ქსელი“ ან უნივერსიტეტ აუგსბურგის უკაბელო ქსელით ისარგებლო. რომელსაც სპეციალური „VNP-CLIEN“-ის პროგრამა ესაჭიროება. ინტერნეტის კიდევე ერთი შესაძლებლობა კომპიუტერების ოთახებია, რომელიც უნივერსიტეტში რამოდენიმეგანაა განთავსებული.

ტომასი: კარგია რომ ვიცოდე.. მოკლედ თქვენ აქ უნივერსიტეტში კომპიუტერების პროფესიონალები ხართ.

ცენტრის თანამშრომელი: კი ასეა! კომპიუტერთან დაკავშირებული კითხვით, ნებისმიერ სტუდენტს შეუძლია მოგვმართოს. დაწვრილებით ინფორმაციას ვებ გვერდზე ნახავთ www.rz.uni-augsburg.de.

ტომასი: კარგით.. დიდი მადლობა რომ დარეგისტრირებაში დამეხმარეთ.

ავტორი: სახლში დაბრუნებული ტომასი, მაშინვე კომპიუტერს მიუჯდება.

ტომასი: მოკლედ როგორ იყო? www.rz.uni-augsburg.de. ... აქ მართლაც საინტერესო რაღაცეებია ცენტრის შესახებ. სხვადასხვა ნაწილების გაყიდვა: კაბელი, ჩიპი ლეპტოპის თხოვება. და ეს რა არის? „საოფისე პროგრამების წიგნი? აჰ! ეს ანას უნდა ვუთხრა.. ანა!!! აქ ხარ?

ანა: რა იყო? ამხელა ხმაზე რა გაყვირებს? საშინაო დავალებისგან თავი ისედაც მტკივა.

ტომასი: ნახე რა ვიპოვე კომპიუტერების ცენტრის ვებ-გვერდზე?.. საოფისე პროგრამების სახელმძღვანელო!

ანა: სად, მანახე?

ტომასი: ანა შენ რა გჭირს?

ანა: მაპატიე... უბრალოდ ძალიან გადაღლილი ვარ ჩამი საშინაო დავალების გამო. ერთი სული მაქვს როდის მოვიშორებ...რატომ ვერ მოვიფიქრე მე თვითონ მეკითხა კომპიუტერების ცენტრში?..მადლობა რჩევისთვის...ახლავე წავალ უნივერსიტეტში.

ავტორი: ასე. ახლა ტომასის თანამცხოვრები გაუდგა უნივერსიტეტისკენ გზას.

ანა: გამარჯობა...იცით ცოტა პრობლემა მაქვს ჩემი საშინაო დავალების ფორმატიზირებასთან დაკავშირებით. ჩემმა თანამცხოვრებმა მიაჩნო, რომ აქ საოფისე პროგრამების სახელმძღვანელოს ყიდვა შეიძლება.

ცენტრის თანამშრომელი: გამარჯობა, კი ეს მართალია. ჩვენთან ნახავთ მთელ რიგ სახელმძღვანელოებს Word-იდან დაწყებული, Photoshop – ით და Java –ით დამთავრებული. ამასგარდა ჩვენ სასწავლო კურსებსაც ვთავაზობთ, სადაც პროგრამის გამოყენებას ისწავლი. სწორედ აქ არის ახლა კურსის ხელმძღვანელი... ქალბატონო რიგი? ერთ-ერთ სტუდენტს თქვენი კურსის შესახებ აინტერესებს!..შეგიძლიათ გაესაუბროთ?

ქ-ნ რიგი: ჩვენთან ბევრი ახლად ჩარიცხული სტუდენტები მოდიან, რომელთაც მაგალითად გიმნაზიაში საფუძვლიანი კომპიუტერის ცოდნა არ მიუღიათ, ამავე დროს კი უნივერსიტეტში ძალიან ბევრი დავალებები აქვთ დასაბეჭდი ან პროგრამაში ასაწყობი, რომელსაც ძნელად ართმევენ თავს. ჩვენ კურსზე კი შესაძლებელია მოკლე დროში საჭირო ცოდნა მიიღოთ. შემდეგ მოდის გაფორმება სასემინარო ან დამამთავრებელი ნამუშევრის. ექვსი საათის შემდეგ ყველაფერი გამზადებული გექნებათ და გართობისთვისაც დაგრჩებათ დრო. ბუნებრივია Excel – ის შესასწავლი კურსიც გვაქვს. მე ყოველთვის ვამჩნევ კურსზე, რომ ძალიან მცირე ნაწილი ფლობს პროგრამას. ამავე დროს ცნობილია, რომ კომპიუტერის ცოდნას თითქმის ყველგან მოითხოვენ, სადაც Excel – ის ფლობაც იგულისხმება. Power Point ცოტა მოგვიანებით არის საჭირო, როცა უკვე მოხსენებების გაკეთება მოგიწევთ.. პრაქტიკაშიც ზოგს მეტად სჭირდება ზოგს ნაკლებად... ანუ როგორც გითხარითქ მხოლოდ ექვსი საათი და თემა თითქმის მთლიანად არის ამოწურული.

ანა: ესეთი კურსი კარგი იქნებოდა, რომ საშინაო დავალების დაწყებამდე გამეკეთებინა. მაგრამ ამჯერად რა პრობლემაც მაქვს იმის გადასაჭრელად ჯერ მხოლოდ Word – ის სახელმძღვანელოს დავჯერდებოდი.

ცენტრის ტანამშრომელი: სიამოვნებით! თქვენი სასურველი სახელმძღვანელო, ჯერ აქ, შეკვეთების ფურცელზე უნდა ჩაწეროთ, შემდეგ თანხის გადასახდელად რექტორატის შენობაში უნდა მიხვიდეთ და გადახდის პროცედურის შემდეგ ქვითარი ჩვენთან უნდა წარმოადგინოთ, რომ წიგნი მოგცეთ.

ანა: აბა მაშინ დროებით!

ცენტრის თანამშრომელი: დროებით!

ავტორი: ასე დაეხმარა კომპიუტერების ცენტრი როგორც ტომასს ასევე ანას. თუ თქვენც მსგავსი პრობლემები გაქვთ, მხოლოდ ერთს გირჩევდით: ახლავე ცენტრისკენ!

ავტორები: ანა მარია გორალევიცზი და ტომას შვაბე

Übersetzt von
Natia Tsikelashvili